მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

**ოქმი №9**

ქ. მარტვილი 29 აპრილი 2022 წელი

სხდომა დაიწყო 12:00 სთ-ზე დამთავრდა 14:00 სთ-ზე

**სხდომას ესწრებოდნენ:** ლევან სურმავა, ელდარი თოდუა, ალექსანდრე გრიგალავა, კობა დარჯანია, კახაბერ ჯგერენაია, ზურაბ მელიავა, ელიზბარ ახვლედიანი, შალვა ბახია, ლაშა ქობალია, ნათია ბჟალავა, ირინა გადელია, ირაკლი დიხამინჯია, მინდია გაბისონია, ჯამბულ ხუროძე, გიორგი კოკაია, გიორგი ჯიჯელავა, ვლადიმერ დანელია, ბექარ კუკანია, პაატა პირტახია, გოჩა ჯიქია, ზაზა რუხაია, მაია გაწერელია, მიხეილ ნაჭყებია, ვახტანგ კეკელია, ნათია ქაჯაია.

რეგისტარცია გაიარა საკრებულოს 25–მა წევრმა.

ასევე ესწრებოდნენ: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი სიმონ რევია, საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.

დღის წესრიგთან დაკავშირებით რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა.

**მოისმინეს 1:** საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით და საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ დღის წესრიგთან დაკავშირებით..

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით დასვა კენჭისყრაზე,

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 25, წინააღმდეგი 0.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2022 წლის 29 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის განკარგულება №38 სხდომის ოქმს თან ერთვის.

**დღის წესრიგი:**

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;
   /მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/
2. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ;
   /მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/
3. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. მარტვილი თავისუფლების ქ. №10-ში მდებარე ქონებიდან 21.01კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის (ს.კ: 41.09.04.094.01.508), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქ. მარტვილის საგანმანათლებლო რესურსცენტრისთვის უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
   /მომხსენებელი-სიმონ რევია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი/

4. სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ნაგვაზაოს საჯარო სკოლისთვის თედო ჯღარკავას სახელის მინიჭებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;
/მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/
5. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2022 წელს დამტკიცებულ მუნიციპალიტეტებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების საზედამხედველო საქმიანობის შესაბამისობის აუდიტისა და მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული რეგიონული განვითარების ასოციაციების საქმიანობის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშების თაობაზე.
/მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/

მე-2 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა.

**მოისმინეს 2**: მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ აღნიშნული საკითხი დაურიგდათ შესაბამის კომისიებსა და ფრაქციებს განსახილველად და იქვე დასძინა რომ რეგლამენტის ცვლილება გამოწვეულია თვითმმართველობის კოდექსში შეტანილი ცვლილებებით.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

**აზრი გამოთქვეს:** ვლადიმერ დანელიამ ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' სახელით გააკეთა მოხსენება, მან განაცხადა რომ თუ საკრებულოს სხვა წევრებიც დაეთანხმებიან საკრებულოს რეგლამენტის 43–ე მუხლს დაემატოს შემდეგი ქვეპუნქტი;

ნ) წელიწადში ორჯერ, საკრებულოს ბიუროს მიერ დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად, საკრებულოს სხდომაზე გააკეთოს ფრაქციის ერთსაათიანი მოხსენება;

აღნიშნულ წინადადებას დაეთანხმნენ საკრებულოს სხვა წევრებიც.

სხდომის თავმჯდომარემ, აღნიშნული საკითხი 43–ე მუხლის ნ) ქვეპუნტის(წელიწადში ორჯერ, საკრებულოს ბიუროს მიერ დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად) დამატებით დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 25, წინააღმდეგი 0.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საკითხი ზემოთ აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის დადგენილება №5 სხდომის ოქმს თან ერთვის/.

მე-3 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა.

**მოისმინეს 3**: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსის სიმონ რევიას მოხსენება ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. მარტვილი თავისუფლების ქ. №10-ში მდებარე ქონებიდან 21.01კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის (ს.კ: 41.09.04.094.01.508), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქ. მარტვილის საგანმანათლებლო რესურსცენტრისთვის უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ".

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიაში 2022 წლის 04 აპრილს წერილით შემოსულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქ.მარტვილის საგანმანათლებლო რესურსცენტრი,

რომლითაც ითხოვენ  აღნიშნული 21კვ.მ. ფართის მათზე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით(მათი არსებობის ვადით) გადაცემას. აღნიშნული უძრავი ქონება მდებარეობს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე, რომელიც ამჟამად გამონთავისუფლებულია.

საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს  სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 25,  წინააღმდეგი 0.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. მარტვილი თავისუფლების ქ. №10-ში მდებარე ქონებიდან 21.01კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის (ს.კ: 41.09.04.094.01.508), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქ. მარტვილის საგანმანათლებლო რესურსცენტრისთვის უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. მარტვილი თავისუფლების ქ. №10-ში მდებარე ქონებიდან 21.01კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის (ს.კ: 41.09.04.094.01.508), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქ. მარტვილის საგანმანათლებლო რესურსცენტრისთვის უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის  განკარგულება №39  სხდომის ოქმს თან ერთვის.

მე-4 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა.

**მოისმინეს 4.** მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება,  ,,სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ნაგვაზაოს საჯარო სკოლისთვის თედო ჯღარკავას სახელის მინიჭებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო საქმეში თანდართული დოკუმენტაცია და ასევე მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დადებითი დასკვნა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს  სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

**აზრი გამოთქვეს:** ალექსანდრე გრიგალავამ აღნიშნა, რომ  ის მიესალმება აღნიშნულ სკოლას მიენიჭოს თედო ჯღარკავას სახელი, ვინაიდან აღნიშნული სკოლა წლების წინ მისი ქველმოქმედებით დაარსდა.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 25,  წინააღმდეგი 0.

**დაადგინეს:**  დამტკიცდეს ,,სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ნაგვაზაოს საჯარო სკოლისთვის თედო ჯღარკავას სახელის მინიჭებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი წარმოდგენილი სახით.

/,,სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ნაგვაზაოს საჯარო სკოლისთვის თედო ჯღარკავას სახელის მინიჭებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის განკარგულება №40 სხდომის ოქმს თან ერთვის/

მე-5 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრ

**მოისმინეს 5.** მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2022 წელს დამტკიცებულ მუნიციპალიტეტებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების საზედამხედველო საქმიანობის შესაბამისობის აუდიტისა და მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული რეგიონული განვითარების ასოციაციების საქმიანობის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშების თაობაზე.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ აღნიშნული საკითხი დაურიგდათ საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციებს განსახილველად და საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

**აზრი გამოთქვეს:** კახაბერ ჯგერენაიამ აღნიშნა, რომ ის გაეცნო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მიერ 2022 წელს დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების საზედამხედველო საქმიანობის შესაბამისობის აუდიტისა და მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული რეგიონული განვითარების ასოციაციების საქმიანობის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშებს და აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად მიაჩნია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები გათვალისწინებულ იქნას მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებისა და მერის მიერ.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 25, წინააღმდეგი 0.

**დაადგინეს:** დაევალოს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2022 წელს დამტკიცებულ მუნიციპალიტეტებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების საზედამხედველო საქმიანობის შესაბამისობის აუდიტისა და მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული რეგიონული განვითარების ასოციაციების საქმიანობის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშების თაობაზე 2022 წლის 25 თებერვლის №10/36 ანგარიშში წარმოდგენილი შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინება შემდგომ სქმიანობაში.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 25, წინააღმდეგი 0.

/,,სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2022 წელს დამტკიცებულ მუნიციპალიტეტებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების საზედამხედველო საქმიანობის შესაბამისობის აუდიტისა და მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული რეგიონული განვითარების ასოციაციების საქმიანობის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშების თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის განკარგულება №41 სხდომის ოქმს თან ერთვის./

ამის შემდეგ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა